

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ავტორი: დოქტორი თომას ჰარტი ¹

თარგმანი განხორციელდა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ

¹ ინფორმაციული საზოგადოების პოლიტიკის კონსულტანტი, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ
აზია, პროგრამა G3-ის კონსულტანტი.

შინაარსი

შესავალი	3
1. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა.....	8
2. საჯარო ინფორმაციის სრულყოფილად გამოქვეყნების უპირატესობები	11
3. პროაქტიული ინფორმაციის გავრცელების სტრატეგია პრაქტიკაში	18
4. გამოქვეყნების გზები	21
5. გამოწვევები	24

შესავალი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსი უნივერსალურია, მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით მისი განსხვავებული რეგულირებისა. თითქმის ყველა მათგანს: კანონებს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რეგულაციებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, გამჭვირვალობის სტრატეგიებს, შესაბამის აქტებს მთავრობის შესახებ ინფორმაციის ღიაობის შესახებ, ერთი საერთო აქვს, საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც ორ ძირითად პრინციპს მოიცავს:

- **ინფორმაციის გაცემა მოთხოვნის შესაბამისად**, რაც გულისხმობს ინფორმაციის მოთხოვნის პროცედურას, ღიაობის წესების დაცვის გადამოწმებას, შიდა ბიუროკრატიულ დადასტურებას, იდენტიფიცირებას და დოკუმენტების მოძიებას (შესაძლებლობის ფარგლებში მოდიფიცირებას, მაგალითისთვის რედაქტირებას) საფასურის გადახდას და სხვა;
- **ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება**, რაც ასევე გულისხმობს ისეთ სახელმძღვანელო პროცედურებს ან, სულ მცირე, შესაბამისი კანონების, კანონქვემდებარე აქტების და რეგულაციების აღწერილობას, ძირითად „გამოქვეყნების სტანდარტს“ რომელიც საზღვრავს საჯარო სექტორის მიერ გამოსაქვეყნებელი დოკუმენტების ინდიკატორებს, ასევე, იგი ადგენს მათ პერიოდულობასა და წყაროებს.

მხოლოდ ინფორმაციის თავისუფლების კანონი, ნებისმიერი მოქალაქის მიერ საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება ან პროაქტიულად ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებები არ განსაზღვრავს მთავრობის სისტემის ღიაობასა და „გამჭვირვალობის“, როგორც ყურადსაღებ/მნიშვნელოვან ელემენტს კარგ მმართველობაში, რადგან ყველაზე გამჭვირვალე კანონსაც კი აქვს შეზღუდვები, როგორცაა: „საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის, თუ რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი არ ზღუდავს ინფორმაციის გაცემას.“ ეს იქნება ქმედითი, თუ საჯარო ან კერძო სექტორს გააჩნია საერთო ხედვა გამჭვირვალობის საჭიროების, მისი სარგებლიანობის და საჭირო შეზღუდვების მიმართ.

რეალობაში, ეს არ არის ასე. ხშირ შემთხვევაში, ცალკეული ხელისუფლება ფრთხილობს ზედმიწევნით დაცული იყოს კონფიდენციალობა, მაშინ როცა, საქმე ეხება გადაწყვეტილებების მიღების დეტალურ პროცედურებს. უფრო კონკრეტულად, როდესაც მიმდინარეობს ხანგრძლივი დისკუსია, ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, მაგალითისთვის, ინფორმაცია გახდეს თუ არა საჯარო და,

თუ კი, რა დროში, ან ინფორმაციის გაცემა, როგორ შესაძლო გავლენას მოახდენს გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. ინფორმაციის გაცემისას ინსტიტუციები ირჩევენ სტრატეგიას: „რა ინფორმაცია სჭირდება საზოგადოებას.“ ამ შემთხვევაში, კი გამჭვირვალობის მომხრეები აცხადებენ, რომ „საჭიროების“ შეფასება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის საჯარო ხდება. ეს არის ის ძირითადი განსხვავება სამთავრობო და არასამთავრობო აქტორებს შორის გამჭვირვალობის „იდეალისტურ“ დონესთან მიმართებაში.

ზემოთ ხსენებული განსხვავებული მიდგომების გათვალისწინებით, გამჭვირვალობის საკანონმდებლო ბაზა უფრო კომპლექსურია ვიდრე ეს ერთი წინადადებით შეიძლება იყოს გამოხატული: მაგალითისთვის, გერმანიის ინფორმაციის თავისუფლების კანონი რვა ფურცელს მოიცავს, სადაც განსაზღვრულია გამჭვირვალობის პირობების მოცულობა და შეზღუდვები; აშშ-ის ინფორმაციის თავისუფლების კანონი 20 გვერდამდეა ხოლო, დიდი ბრიტანეთის ყველაზე დეტალურია და თითქმის 80 გვერდს მოიცავს. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში კანონით არის დაცული ინფორმაციის მიღების უფლება, თუმცა, მათ შორის, ორიც კი არ არის ერთმანეთის მსგავსი. საჯარო ინფორმაცია რეგულირდება ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობით, მედიის თავისუფლების აქტებით, საკონსტიტუციო გარანტიებით, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კანონებით, რომელიც გულისხმობს საერთო საყრდენებს, როგორცაა:

- **ზოგადი ვალდებულება:** რომელიც ორიენტირებულია მოთხოვნაზე დაყრდნობით ინფორმაციის მიღებაზე, ან მის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე;
- **ინსტიტუციური მოწყობა:** წარმოდგენილია ინფორმაციის კომისიონერი, რომელიც აღჭურვილია აღსრულების უფლებამოსილებით, მინიჭებული აქვს აღმასრულებლის უფლება, ან არსებობს „ტრიბუნალი“ - ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებისთვის. ზოგიერთები აფუძნებენ კომისიონერის ინსტიტუტს, რომელიც აღჭურვილია სახალხო დამცველის მსგავსი უფლებამოსილებით; ზოგ შემთხვევაში გამოიყენება ადმინისტრაციული სასამართლოს პრაქტიკა;
- **ინფორმაციის თავისუფლების გამონაკლისი შემთხვევების ნუსხა:** პერსონალური მონაცემების დაცვა, ეროვნული უსაფრთხოება, კომერციული საიდუმლოება;

- ან როდესაც ისინი უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღებას ინფორმაციის გაცემაზე „საზოგადოებრივი ტესტის“ შედეგების მიხედვით,, როგორც გამონაკლის შემთხვევას.

ხელისუფლების ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში არ არსებობს ერთი „საუკეთესო პრაქტიკა“, თუმცა არსებობს მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად დამკვიდრებული ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ტრადიციები, ეს კანონები არასოდეს არის სტატიკური. მაგალითისთვის, სულ ახლახან, გერმანიის ქალაქ ჰამბურგში განხორციელდა სახელმწიფო დონის რეგულაციების მოდერნიზება. თუ აქამდე „ინფორმაციის თავისუფლების კანონი“ შეიცავდა ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას მხოლოდ მისი მოთხოვნის საფუძველზე, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა „გამჭვირვალობის კანონი“, რომლის შესაბამისადაც ყველა დოკუმენტის პროაქტიულად გამოქვეყნება გახდა სავალდებულო. დიდ ბრიტანეთში ამჟამად ინფორმაციის თავისუფლების კანონის განხილვა მიმდინარეობს პარლამენტში, რათა მოხდეს, მეტი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, მისი გადასინჯვის ინიცირება - დიდი ბრიტანეთის 2000 წლის ინფორმაციის თავისუფლების აქტში არსებული ხარვეზებისა და წარმატებული დებულებების გათვალისწინებით.

კანონმდებლობების გადახედვის პროცესის ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და აკადემიური წრეების ჩართულობა, რომლებიც ინფორმაციის მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებლები არიან. მათთვის, მათი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მთავრობის მიერ ინფორმაციის სრულყოფილად გამოქვეყნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ისინი ძირითადად ეყრდნობიან მთავრობის ინფორმაციასა და მონაცემებს, რაზეც აგებენ საკუთარ არგუმენტებსა და სტრატეგიებს; მათ სჭირდებათ უზრუნველყონ დაინტერესებული ჯგუფები, მათი ინტერესების შესატყვისი ინფორმაციით, იმ მიზნით, რომ შეიტანონ საკუთარი წვლილი საჯარო პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სისტემების წარმატება დამოკიდებულია მთავრობასა და არასამთავრობო დაინტერესებულ ჯგუფებს შორის „ინფორმაციის ურთიერთგაცვლის“ პრაქტიკაზე: სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები საჯარო სექტორში მიმდინარე პროცესების დროული ხელმისაწვდომობით უკეთ ასრულებენ საკუთარ ფუნქციებს მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სათანადო კონსტრუქციული ჩართულობით.

როდესაც სამთავრობო უწყებების ნდობა სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მაღალია, ისინი უფრო მეტ სარგებელს პოულობენ, რომ ამა თუ იმ ინდივიდისა და ორგანიზაციის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მიიღონ უფრო ქმედითი გადაწყვეტილებები; მათი გადაწყვეტილება უფრო მდგრადია, რადგან პროცესები, მიმდინარეობს საზოგადოების ჩართულობით და ისინი წარმოადგენენ კონსენსუსის შედეგს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ არ ჩნდება ის ტიპური წინააღმდეგობები, რაც დამახასიათებელია ახალი კანონის ან პლიტიკის დოკუმენტის ჩუმად, საზოგადოებისგან ფარულად, მიღების პროცესისთვის, რომელიც საზოგადოების ჩართულობას ითვალისწინებს პრაქტიკულად ფინალურ ეტაპზე.

საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა მხოლოდ სრულყოფილი ინფორმაციის ერთი მხრიდან (საჯარო სექტორიდან) მეორე მხარეს (სამოქალაქო საზოგადოება) გადაცემის პროცესით არ ამოიწურება. თავად სამოქალაქო საზოგადოებამ, ინდივიდებმა უნდა კარგად გააცნობიერონ, როგორია საჯარო ინფორმაცია: დაუმუშავებელი მასალა რომელსაც სჭირდება შეფასება, კონტექსტუალიზაცია და რეაგირება. მაშინაც კი, როცა რაიმე დოკუმენტია შექმნილი საჯარო სექტორში, ეს არ ნიშნავს, რომ ის გამოხატავს სრულიად „მთავრობის მოსაზრებას“, ის საჭიროებს უფრო მეტ სიზუსტესა და დამუშავებას. ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ნდობისთვის საჭიროა ორმხრივი ღია და გამჭვირვალე ურთიერთობების შესაძლებლობათა განვითარება.

ხშირად მთავრობის მზაობა, იყოს თავისი მოქალაქეებისათვის ღია, ნებისმერ კანონზე მეტად მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მთავრობების მცდელობა - საკუთარ ინსტიტუციებს მისცენ მითითებები, იყვნენ უფრო ღია და გამჭვირვალე მუშაობის პროცესში, ასახული უნდა იქნეს მათ სურვილსა და პრაქტიკულ განხორციელებადობაზე - დანერგონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეფექტური მექანიზმები. ასევე არსებობს შეხედულება, რომელიც ამტკიცებს ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას უპირატეს მნიშვნელოვნებას მოთხოვნის საფუძველზე მის მიღებასთან მიმართებაში.

ადმინისტრაციებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, სპეციალური რეგულაციების, პროცედურების დანერგვა და მათი დაცვა, რაც კომპლექსურ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ პროცედურებს გულისხმობს: კონკრეტულად განსაზღვრული უნდა იყოს ღიაობის პრინციპების გამონაკლისი შემთხვევები; აუცილებელია

გამოქვეყნდეს გადაწყვეტილებები გადასახადების განსაზღვრასთან მიმართებაში. ასევე აუცილებელია ხელმისაწვდომი იყოს საჯარო უწყებებში და სასამართლოში წარსადგენი საჩივრებისა და სარჩელების პროცედურების ზუსტი აღწერილობა.

ყურადსაღებია ისიც რომ, ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სისტემა უფრო ბუნდოვანია და ის წარმოადგენს გამოწვევას სხვადასხვა ასპექტით. მაშინ როდესაც ინფორმაციის გაცემა არ არის სავალდებულო სანამ მას არ მოითხოვენ, სახელისუფლებლო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირმა უნდა მიმართოს თვითკონტროლის მექანიზმებს - რომ შეამოწმოს - დაცულია თუ არა საკუთარ უწყებაში ინფორმაციის თავისუფლების საკანონმდებლო მოთხოვნები; პროაქტიულად ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევაში კი საჭიროება დგება, რომ წინასწარ შემუშავდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ დოკუმენტაციათა სია, რაც საკმაოდ რთული პროცესს წარმოადგენს (როგორც ეს სქემაშია ნაჩვენები, [გვ.10]). ეს პროცესი საჯარო სექტორის დაწესებულებების მეტ ძალისხმევას მოითხოვს დოკუმენტაციის გადახედვისა და დახარისხების კუთხით.

1. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა

ინფორმაციის გამოთხოვის პროცესი, პრინციპული თავალსაზრისით, საკმაოდ მარტივი ფორმაა და საერთაშორისო პრაქტიკის სისტემები, უმეტესწილად, მსგავსია. მარტივად რომ აღვწეროთ, პროცესია ასეთია:

- მოქალაქეს (ხშირად ასევე იურიდიულ პირს, - საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობის თანახმად „ნებისმიერ პირს“) აქვს უფლება მოითხოვოს.....
- ... მთავრობას (ან საჯარო დაწესებულება) უზრუნველყოს/ გასცეს.....
- ... მოთხოვნის შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით (ელექტრონულად ან ქსეროასლის სახით)
- ...დოკუმენტი (ან „აკინძული დოკუმენტაცია“ ან „ინფორმაცია“) რასაც ის ფლობს.

ინფორმაციის მოთხოვნისას პროცედურები განსხვავებულია მაგალითისთვის: პიროვნების იდენტიფიცირების ვალდებულება, ინფორმაციის მოთხოვნის მიზნის განმარტება, ან იმის მითითება, რომ განმცხადებლის მიერ ინფორმაციის მოთხოვნა ხორციელდება ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის შესაბამისად.


ინფორმაციის გამოთხოვაზე უფრო რთული საკითხია მასზე პასუხის მომზადება, კერძოდ:

ინფორმაციის გაცემის შესაბამისობის შეფასება: საჯარო დაწესებულება ამოწმებს, მოთხოვნილი ინფორმაცია შესაბამისობაში მოდის თუ არა ღიაობის პრინციპებთან, რაც ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ აქტებშია გათვალისწინებული (მაგალითისთვის როგორცაა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ან/და საიდუმლო კატეგორიის ინფორმაციის მარეგულირებელი აქტები). ეს შეიძლება ითვალისწინებდეს მესამე პირების ჩართვასაც პროცესში, მაგალითად, როდესაც ისინი არიან ინფორმაციის წყაროები, (როგორც, კომპანიის მიერ წარმოებული გარემოსდაცვითი სფეროს აუდიტის მასალები) და იმ შემთხვევაში, თუ კანონი ან არსებული რეგულაცია აძლევს მესამე მხარეს უფლებამოსილებას შეეწინააღმდეგოს გამოქვეყნების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითისთვის დიდი ბრიტანეთი და ასევე, ინფორმაციის გამოქვეყნების ნაწილში, ევრო კავშირის ინსტიტუტები) საჯარო ინტერესის ტესტის ჩატარების აუცილებლობა

დგება, როცა საზოგადოებრივი ინტერესი ინფორმაციის გასაჯაროებასთან მიმართებაში მაღალია.

ინფორმაციის გაცემის პროცესი: შესაბამისი ზომების გატარების საჭიროება ჩნდება სანამ ინფორმაციის გაცემის სრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადება მოხდება, იმ მიზნით, რომ არ მოხდეს ინფორმაციის საიდუმლოებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კომერციული საიდუმლოების დარღვევა. დოკუმენტები უნდა გაიცეს მას შემდეგ რაც მოხდება ასეთი ინფორმაციის დამტრიალება. მნიშვნელოვანია ასევე, რომ განმცხადებელმა გაითავისოს ასეთ პროცედურების გატარების მნიშვნელობა. განსაკუთრებით იმ დროს, როცა ინფორმაცია სხვადასხვა მონაცემების შემცველია (მაგალითისთვის, გარემოს დაბინძურების მონაცემი, მცენარეთა უსაფრთხოების ანგარიშები და სხვა) სახელისუფლებლო დაწესებულებას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, მოახდინოს, მის ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, არსებული საჭიროებისა და ვალდებულებების დაბალანსება. ინფორმაციის გაცემა უწყებისათვის დაკავშირებულია ცალკეულ სამართლებრივ და ფინანსურ რესურსთან.

ინფორმაციის გამოქვეყნება: უმეტეს შემთხვევებში გათვალისწინებულია სახელისუფლებლო უწყებების მიერ ინფორმაციის გაცემისათვის სპეციალური მოსაკრებლის დაწესების შესაძლებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში არ ხდება მოსაკრებლის გადახდა თუ საფასური არც თუ ისე მაღალია, ან თუ განმცხადებელს შეუძლია წარადგინოს მტკიცებულება გადახდისუუნარობის შესახებ. თუ ინფორმაციის გაცემისთვის დაწესებული მოსაკრებელი, კონკრეტულ შემთხვევაში მაღალია, დაწესებულებები უკავშირდებიან, განმცხადებელს, რომ მიაწოდონ მას ინფორმაცია შესაძლო საფასურის შესახებ, რათა, საბოლოო ჯამში, განმცხადებლისთვის არ აღმოჩნდეს არასასიამოვნო მოულოდნელობა, როდესაც მიიღებს შესაბამის ინვოისს. ქვემოთ მოცემული სტრუქტურა წარმოაჩენს ინფორმაციის მოთხოვნის წერილის მიღებისა და დამუშავების ტიპურ პროცესს, ბერლინის, გერმანიის ინფორმაციის კომისიონერის სამსახურის პროცედურების შესაბამისად:



■ აპლიკანტი, ფიზიკური ან იურიდიული პირი

■ საჯარო დაწესებულება/მთავრობა, სხვა დაწესებულებები, საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი კერძო დაწესებულებები

■ ინფორმაციის კომისიონერი/ან სასამართლოს ადმინისტრაციული პალატა

2. საჯარო ინფორმაციის სრულყოფილად გამოქვეყნების უპირატესობები

მთავრობის ყოველდღიური მუშაობის შემადგენელი ნაწილია ინფორმაციის დამუშავება და გაცემა. ინფორმაციის გაცემა მთავრობის საქმიანობას ეფექტურს ხდის, რადგან საზოგადოების ყველა წევრისთვის სარგებლის მოტანა ბუნებრივად მთავრობის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს.

გამჭვირვალობის მომხრეები, ადვოკატირებას უწევენ, მოითხოვენ რაც შეიძლება სრულყოფილი და ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილის ხელმისაწვდომობას, და ამავე დროს ისინი აღიარებენ ისეთი ინფორმაციის დაცვის საჭიროებას როგორცაა: პერსონალური მონაცემები, კომერციული საიდუმლოება ან/და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები. რას ეყრდნობა მათი არგუმენტები?

- **მთავრობას უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მოქალაქეების მიერ:** ძალიან ფუნდამენტურად თუ მივუდგებით, მოქალაქეებმა მიანიჭეს საჯარო სექტორს უფლებამოსილება მათი სახელით იმოქმედონ. თუ საჯარო სექტორი იმოქმედებს ხალხის სახელით, შესაბამისად მათი ნებისმიერი ქმედება და ძალისხმევა უნდა იყოს გამჭვირვალე. საზოგადოება უნდა იყოს კარგად ინფორმირებული საჯარო სექტორის ვალდებულებების შესრულების შესახებ.
- **მოქალაქეები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას:** საჯარო სექტორის დაფინანსება საგადასახადო შემოსავლებით ხდება. თუმცა არსებობს ინფორმაცია (გამონაკლისი შემთხვევები) საჯარო სექტორში, რომლიც არ არის ხელმისაწვდომი მოქალაქეებისთვის და ეს ინფორმაცია თანხმობაში უნდა მოდიოდეს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალების პრინციპებთან, თითოეულ ასეთ გამონაკლის შემთხვევას კი შესაბამისი არგუმენტაცია უნდა ერთვოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ პრინციპების მიმართ მიდგომებზე მხარეები თანხმდებიან, ინსტიტუციების მხრიდან მაინც გამოხატულია ვალდებულებებთან მიმართებაში ენთუზიაზმის ნაკლებობა, რადგან მათი მხრიდან დიდი ძალისხმევის ჩადება არის საჭირო. თუმცა პრაქტიკულად, მაინც ადმინისტრაციისთვის უფრო მომგებიანია გამჭვირვალობის პრინციპების ზედმიწევნით დაცვა, ამისთვის:

მთავრობას ესაჭიროება მოქალაქეთა კვალიფიციური თანამონაწილეობა:

მთავრობებს ესაჭიროებათ რეკომენდაციები, საზოგადოების ყველა სპექტრიდან, რაც გადაწყვეტილების უკეთ მიღებაში დაეხმარებათ, რადგან სახელმწიფო დაწესებულებამ კარგად იცის თუ როგორ გავლენას მოახდენს მათი გადაწყვეტილება საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილზე. საზოგადოების ცოდნის, გამოცდილების, ხედვის გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში სახელმწიფო ხელისუფალთა საქმიანობას, სტრატეგიულ ხედვასა და ცალკეულ გადაწყვეტილებებს უფრო „უკეთეს“ გახდის.

ერთობლივად მოქმედება გადაწყვეტილებებს უფრო მდგრადს ხდის:

საჯარო სექტორის საქმიანობა პირდაპირ კავშირშია არასამთავრობო სექტორთან; მოქალაქეებთან, კომპანიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან. როდესაც მთავრობა გადაწყვეტილებას დახურულ კარს მიღმა იღებს და შედეგები გამოაშკარავდება მხოლოდ რაღაც ეტაპზე (როდესაც მასში ცვლილებების შეტანა ძალიან დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული ან/და ფაქტობრივად შეუძლებელია), ამ შემთხვევაში ხელისუფლებას უფრო ძვირი უჯდება, რადგანაც მათი ასეთი ქმედება მოქალაქეებს უჩენს შეგრძნებას, რომ ისინი მეორე ხარისხოვანნი არიან. შედეგად მოქალაქეების მხრიდან მოდის ინდივიდუალური საჩივრები, იმართება ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები, აღნიშნული პროექტების თუ გეგმის განხორციელება დროში ყოვნდება და შედეგად დგება საზოგადოების ზოგადი უკმაყოფილება და უნდობლობა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებით, ხელს უწყობს ურთიერთგაგებისა და ნდობის დამკვიდრებას, რადგან მხოლოდ კარგად ინფორმირებულ მოქალაქეს შეუძლია პროცესებში ღირებული თანამონაწილეობა.

ამისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ე.წ. ტრადიციული მეთოდის - „საზოგადოებასთან კონსულტაციების“ გამართვა. თუ მთავრობა გეგმავს ახალი გზატკეცილის მშენებლობას, ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს ვებ-გვერდზე ან/და გამოაკრას ქალაქის მერიის სამკითხველო დარბაზში საზოგადოებისთვის მისი ხელმისაწვდომობის მიზნით. თანამედროვე ჩართულობის სტრატეგია უფრო ხელსაყრელია თანამედროვე საზოგადოებისთვის. ქმნიან შესაბამის საინფორმაციო წყაროებს, სადაც საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება და შეხედულებები. თუმცა აუცილებელია აქვე აღინიშნოს, რომ საზოგადოების მიერ მოწოდებული მოსაზრებების გათვალისწინება, უნდა მოხდეს

რეალურად და არა მხოლოდ დოკუმენტალურად, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მის ხედვას, რომელსაც ის გამოხატავს შესაბამისი წინადადებების სახით, წაიკითხავენ და მხედველობაში მიიღებენ.

საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობისთვის, მათი გადაწყვეტილების პროცესში ეფექტური ჩართულობისათვის, მნიშვნელოვანია, რომ შემუშავებულ იქნეს სიღრმისეული, დეტალური და ეტაპობრივი სტრატეგია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ყველა რეფორმა, თუ ინფრასტრუქტურული პროექტი, განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს, რამდენადაც, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფზეა გათვლილი. შედეგად, საჯარო კონსულტაციების დროს უნდა ხდებოდეს ყველა სახის რეკომენდაციების თავმოყრა და დახარისხება, მათი შემდგომი გათვალისწინების მიზნით. ამ შემთხვევაში, ერთი რამ რჩება ზოგადად დამახასიათებელი ნებისმიერი სისტემისათვის, რომ საზოგადოებისთვის უზრუნველყოფილი იქნას რაც შეიძლება სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ზოგადად გამჭვირვალობა, და საჯარო სექტორთან დაკავშირებული ინფორმაცია საზოგადოებასთან კავშირის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედიანია. სწორედ ახალი ტექნოლოგიები და ონლაინ მედია გვეხმარება დღეს, თუმცა არსებობს საზოგადოების ნაწილი, რომელთათვის ონლაინ მონაწილეობა ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი და ყურადღების მიღმა არც ეს ნაწილი უნდა დარჩეს. ინფორმაციის მისაწოდებლად, გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც ონლაინ რესურსები, ისე საჯარო კონსულტაციების/განხილვების გამართვა.

ინფორმაციის პროაქტული გამოქვეყნების სტრატეგია ინფორმაციის მართვას აუმჯობესებს:

ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვანი ფაქტორია, არა მხოლოდ საზოგადოებისთვის ან თითოეული ინდივიდისთვის, არამედ ცალკეულ სახელმწიფოთა მთავრობებისთვისაც, რომლებიც უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ინფორმაცია ყველა მიმართულებებიდან მოდიოდეს მათთან. მთავრობებმა არა მხოლოდ უნდა გასცენ მოთხოვნილი ინფორმაცია, არამედ უნდა გაუწიონ ლობირება ამა თუ იმ საკითხს, რომელიც საზოგადოებიდან, ან სხვა უწყებებიდან მოდის და ელექტრონული ფოსტის, ფაქსის, ტექსტური შეტყობინებების, უწყებების, სატელეფონო ზარებისა და სხვა წყაროებით მიეწოდებათ. სახელისუფლებლო საქმიანობის დიაობისა და გამჭვირვალობის ვალდებულება მოითხოვს, რომ ხდებოდეს ამ ინფორმაციის ანალიზი, დახარისხება, შეფასება შესაბამისი საჯარო დაწესებულებების მიერ.

გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, ხელს უწყობს, რომ მოხდეს შემოსული ინფორმაციის მართვის სისტემების კარგი მენეჯმენტის განვითარება; შესაბამისი დოკუმენტაციის, ნებისმიერი მასალის, რომელიც კი საჯარო მოხელის მაგიდაზე მოხვდა კატეგორიზაცია. თუ პროაქტიულად ინფორმაციის გამოქვეყნების სტრატეგია სწორად არის გათვლილი, ახალი ელექტრონული მმართველობა (ვებ-გვერდები, მოქალაქეთა საინფორმაციო პორტალები, მოქალაქეთა მომსახურების ბიუროები), გამჭვირვალობის მიმართულებით, უმსუბუქებს ადმინისტრაციებს სამუშაოს.

აღსანიშნავია რომ, (რასაც დიდი ბრიტანეთის ინფორმაციის კომისიონერის სამსახური „ინფორმაციის გამოქვეყნების სქემის“ გზამკვლევიც მიუთითებს) ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება არ ნიშნავს მხოლოდ ახალი დოკუმენტების შექმნას, რაც ადმინისტრაციის მხრიდან დამატებით სამუშაო ძალისხმევას მოითხოვს. არსებული ინფორმაციის გამოქვეყნება სასარგებლოა, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორისთვის.

პროაქტიულად ინფორმაციის გამოქვეყნება განმცხადებლების წერილებზე ინდივიდუალური პასუხის მომზადებაზე ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს:

პროაქტიულად ინფორმაციის გამოქვეყნებას საჯარო ადმინისტრაციის ყოველდღიურ სამუშაო პროცესში დადებითი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. განსაკუთრებით დღეს, როცა მთელი მსოფლიოს მთავრობები ჩართულნი არიან მოდერნიზაციისა და ციფრული გარდაქმნის პროცესში, პროაქტიულად ინფორმაციის გავრცელების კომპლექსური სისტემების დანერგვა ბუნებრივი ნაბიჯია და იდეალურად უკავშირდება CMS-ისა და ინფორმაციის მართვის საერთო სისტემებს. ამ სისტემებს ხშირად აერთიანებენ ტერმინის „ელექტრონული მმართველობის“ ქვეშ, რაც გულისხმობს დოკუმენტების ფილტრაციასა და დახარისხებას მათი შინაარსის, თარიღის და ასევე კონფიდენციალობის დონის მიხედვით. გამომდინარე იქედან, რომ ბევრ სახელმწიფო დაწესებულებას უკვე გააჩნია CMS -სა და ელექტრონული დოკუმენტების მართვის სისტემები (ან არიან მათი დანერგვის პროცესში), ძალიან მარტივია სთხოვო დაწესებულებას დაახარისხონ, რომელი ინფორმაციაა „გასაჯაროებისთვის“ განკუთვნილი და რომლის „გამოქვეყნება არ არის შესაძლებელი.“ ეს, მოქალაქეების მოთხოვნებზე ინდივიდუალურად გასაცემ პასუხების მომზადებაზე ნაკლებ შრომატევადია და ყოველდღიურ საოფისე საქმეს ამარტივებს.

პროაქტიული ინფორმაციის გავრცელების ეს დადებითი მხარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი იერარქიის მქონე ადმინისტრაციებისთვის, რადგანაც, ასეთი ბიუროკრატები, როგორც წესი, საიდუმლო დოკუმენტაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას მნიშვნელოვან იერარქიულ კოორდინაციას საჭიროებენ, საჯარო ხელისუფალმა დიდი სიფრთხილე და გონიერება უნდა გამოიჩინოს ასეთ დროს, რადგანაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს შეუსაბამობას / წინააღმდეგობას რომელიმე სამართლებრივ აქტთან ან უფლებამოსილებასთან, ამიტომ ყოველი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს საჯარო მოხელის დისკრეციას ინფორმაციის გაცემა/გაუცემლობასთან მიმართებაში მომგებიანია საერთო პროცედურების ეფექტურობისთვის.

პროაქტიული გავრცელების სისტემები გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების ავტომატიზაციის საშუალებაა. მათი დახმარებით, ინფორმაციის გავრცელების დახარისხების შესახებ გადაწყვეტილება უშუალოდ პირველწყაროდან ვრცელდება (დაწესებულების ხელმძღვანელებიდან), რასაც მინიმუმამდე დაჰყავს მასში შეცდომების არსებობის რისკი და ინფორმაციის თითოეული ნაწილის გადამოწმების აუცილებლობა.

საჯარო სექტორში დაცული ინფორმაცია ზრდისა და კეთილდღეობის წყაროა:

საჯარო სექტორში დაცული ინფორმაცია, უდიდესი საინფორმაციო რესურსია. ევროკომისიის გამოთვლებით, საერთო პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური მოგება, ამ ინფორმაციის კომერციული მიზნებისთვის გამოყენებისას, 140 მილიარდ ევროს აღწევს. ისეთი ინფორმაციები, როგორცაა ციფრული რუკები, მეტეოროლოგიური, საკანონმდებლო, საგზაო, ფინანსური, ან ეკონომიკური მონაცემები კერძო მეწარმეების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას სასარგებლო და მომგებიანი ბიზნეს მოდელების შესაქმნელად. ხშირად ამ ინფორმაციის დაგროვება საჯარო სექტორის მიერ ხდება, თუმცა შემდგომ არქივებში ინახება და იმათ ვინც შეიძლება გამოიყენონ, ხელი არ მიუწვდებათ მათზე.

თუკი ეს ინფორმაცია სისტემატურად ხელმისაწვდომი გახდება, ამით გაუმჯობესდება და განვითარდება მომსახურების სფერო, იქ მომუშავე ადამიანებს შესაძლებლობა მიეცემათ გამოიყენონ, გადაახარისხონ და ინტეგრირება მოახდინონ საკუთარ გზამკვლევებთან, გასართობ სერვისებთან, ამინდის ან ფინანსურ პროგნოზებთან. იყო საუბარი მეწარმეებისთვის მიეცათ საჯარო სექტორის ინფორმაციის კომერციული მიზნებით გამოყენების უფლება (იმ ეტაპამდე, საიდანაც

ინდივიდუალური ინფორმაციის თავისუფლების აქტი ცალსახად კრძალავს მის გამოყენებას კომერციული მიზნით); თუმცა „სამთავრობო ინფორმაციების კომერციული მიზნით გამოყენების“ შესახებ თანამედროვე საერთაშორისო მიდგომების მიხედვით არ არსებობს წინააღმდეგობა ღიაობასა და კომერციულ ინტერესებს შორის. უფრო მეტიც, მთავრობებს შეუძლიათ შექმნან შემოსავლის დამატებითი წყარო სახელშეკრულებო პარტნიორობის საფუძველზე, მაგალითად „კომპიუტერიზებული გეოგრაფიული მონაცემების (GPS) მომზადება, რომელიც შეიძლება უმტკივნეულოდ ინტეგრირდეს კომპანიების კომერციულ სისტემებში. პირველადი მონაცემები ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, ხოლო მთავრობა მიიღებს შემოსავლებს, თავისი კომერციული პარტნიორების სპეციფიური საჭიროებების მომსახურების მიწოდებისათვის.

ევროკავშირის 2003 წელს გამოცემული 2003/98/EG დირექტივის საფუძველზე, დაწესდა მინიმალური პირობები, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს საჯარო ინფორმაციის კომერციული მიზნებით გამოყენება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. დირექტივა არ იძლევა დამატებითი წვდომის უფლებას, ის არაა მიმართული მოქალაქეებისა და კომერციული მეწარმეების დისკრიმინაციისკენ, გამოიყენონ ერთი და იგივე ინფორმაცია სხვადასხვა პირობებში; ის ორიენტირებულია მოაგვაროს სპეციფიური სახელშეკრულებო ურთიერთობები საჯარო სექტორის ინფორმაციის მწარმოებლებსა და კერძო სექტორის მომხმარებლებს შორის. უახლესი ცვლილებების თანახმად, აქტი გავრცელდა ახალ ორგანოებზე (მაგ. ბიბლიოთეკები, მუზეუმები, არქივები), დაწესდა მოსაკრებლის ზღვრული ლიმიტი, ასევე განისაზღვრა მოთხოვნები სამთავრობო ინფორმაციის ციფრულად წაკითხვადი ფორმატისთვის.

მსგავსი შემთხვევები ხდება მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც: კანადის ბუნებრივი რესურსები (სახელმწიფო სამინისტრო) უზრუნველყოფს კომპიუტერიზებულ გეოგრაფიულ მონაცემებს (GPS) საგზაო სისტემების შესახებ, ტოპოგრაფიულ რუკებს გეოგრაფი მკვლევარებისთვის. სპეციალური სალიცენზიო შეთანხმებები წარმოადგენს არაექსკლუზიური გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც ლიცენზიის მქონეებს უფლებას აძლევს გამოიყენონ და დაამუშაონ მონაცემები, მათზე დაყრდნობით შექმნან სერვისები, ნიმუშებითა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვით, დისტრიბუციის შეთანხმებისა და სხვა დოკუმენტების ხელმისაწვდომობით.

გამჭვირვალობის ეს ეკონომიკური ასპექტები სამაგალითო გახდა „ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივისთვის“ (Open Government Partnership Initiative (OGP)), რომელიც იწყება განაცხადით რომ გამჭვირვალობა ხელს უწყობს

ეკონომიკურ ზრდას, კეთილდღეობას, რესურსების ეფექტური გამოყენების გზით, მოსახლეობის ჩართულობასა და ინკლუზიურ განვითარებას. ამ მტკიცების რაოდენობრივი შედეგების დემონსტრირება მთავრობების მიერ გამჭვირვალობის მიზნად დასახვის საქმეში უმთავრესი ფაქტორი იქნება. ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ერთი მიმართულება გულისხმობს, იმის ჩვენებას თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმისაწვდომ მონაცემებს უკეთესი მმართველობისა და მომსახურების შექმნის საქმეში (www.opendataresearch.org). მაგალითად, განვითარებად ქვეყნებში, ამან შეიძლება დიდად შეუწყოს ხელი პროგრესს და რესურსების გაცილებით ეფექტურად გამოყენებას, როგორცაა მაგალითად უფრო დიდი პასუხისმგებლობით გაწეული საჯარო ხარჯები, უკეთესი ურბანული მმართველობა, უკეთესი სანიტარიული და საგანმანათლებლო სისტემები, და კიდევ სხვა მრავალი საკითხი.

ეფექტურობის მიღწევის გზების ძიება კამათის საგანია ყველა საჯარო სექტორში, განვითარებადში, თუ უკვე განვითარებულში. ფართოდ გამოიყენება მონაცემთა ანალიზის ისეთი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია დანაშაულის პრევენცია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების კონტროლი, შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების შემოწმება (როგორც ეს ნიუ იორკის მიერ არის დოკუმენტირებული). მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა მონაცემები, რომლის მიხედვითაც კონგოში, მონაცემთა ხელმისაწვდომობამ მოსახლეობის ჩართულობისას ბიუჯეტის გამოყენების დაგეგმვის პროცესში, შესამჩნევად გაზარდა საგადასახადო დისციპლინა და შემოსავლები. მაქვისენის შეფასებით, ხელისუფლების ყოველი თანამშრომელი თავისი სამუშაო დროის დაახლოებით 19% დოკუმენტების მოძებნას ახმარს. რაც უფრო ხშირი იქნება პირდაპირი ეკონომიკური მოგების მომტანი ასეთი შემთხვევები, მით უფრო აშკარა მტკიცებულება იქნება იმათთვის ვინც კარგ პრაქტიკასა და არგუმენტებს ეძებს; შესაბამისად სავარაუდოა, რომ მონაცემების ღიაობა მალევე გახდება უმთავრესი პრიორიტეტი მსოფლიოს ყველა მთავრობისათვის.

ღია მონაცემთა ბაზის (Open Data) შექმნის ამოცანა სცილდება უბრალოდ საჯარო სექტორის ინფორმაციის საზღვრებს. ის არის შემდეგი ნაბიჯი და საჭიროებს დამატებით ძალისხმევას, რათა ბიზნესმენებსა და მოსახლეობას სამომავლო პროცესებისთვის საჭირო პირველადი მონაცემები მიაწოდოს. მნიშვნელოვანია მონაცემთა ინტერფეისების, პროგრამების, ვიზუალური მხარეების განვითარება, რათა მომხმარებელს საშუალება მიეცეს გამოიყენოს და დაამუშაოს ინფორმაცია, ყველა მიმართულებით, რომელიც აუცილებელია მისი მიზნების

განსახორციელებლად. ზოგიერთი პორტალი, მაგ. data.gov შეერთებულ შტატებში, ან data.gov.uk გაერთიანებულ სამეფოში, ამ მიმართულებით განხორციელებული ქმედებების კარგი მაგალითებია, და სხვა ქვეყნებს შეუძლიათ გადაიღონ და გამოიყენონ მათი გამოცდილება.

3. პრაქტიკული ინფორმაციის გავრცელების სტრატეგია პრაქტიკაში

მსგავსად ზოგადად სახელისუფლებლო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა, პრაქტიკული ინფორმაციის გავრცელების გზები და მეთოდები, სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია:

- ▶ შეერთებული შტატების ინფორმაციის თავისუფლების აქტი (US FOIA) ფედერალური სააგენტოებისთვის სავალდებულოს ხდის თვითონ უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ანალოგიურ შინაარსს შეიცავდა საპრეზიდენტო მემორანდუმი „გამჭვირვალობისა და ღია მმართველობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც შეერთებული შტატების ფედერალური ადმინისტრაციები ვალდებულნი არიან მიაღწიონ „გამჭვირვალობის უპრეცედენტო დონეს“ და მაქსიმალურად გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები, რათა შეასრულონ დანაპირები. პრაქტიკული დებულებები ჩადებულია შეერთებული შტატების ადმინისტრაციული პროცედურების აქტში. საპრეზიდენტო მემორანდუმის შესაბამისად, შტატების ფედერალურმა მთავრობამ შექმნა პორტალი Data.gov., რომლის საშუალებითაც ხელმისაწვდომი ხდება მონაცემები ჯანმრთელობის დაცვის, ეკონომიკისა და გარემოს შესახებ, ინფორმაციების დაგროვება კი ხდება ფედერალურ ხელისუფლებაში დეპარტამენტებისა და სააგენტოების საშუალებით. ინფორმაცია განთავსებულია მრავალ ფორმატში, იძლევა რჩევას ინფორმაციის დამუშავების შესახებ, და გვთავაზობს პროგრამულ მხარდაჭერასაც.

▶ გაერთიანებული სამეფოს ინფორმაციის თავისუფლების აქტი (UK FOIA) უფრო მკაცრი და დეტალურია, ის თითოეული სააგენტოდან გამოქვეყნების სქემას ითხოვს, რომლის მიხედვითაც გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა განაწილდეს კლასების/კატეგორიების მიხედვით, და ასევე მიეთითოს ინფორმაციის მიღება უფასოდ შეიძლება თუ თანხაა გადასახდელი. გაერთიანებულ სამეფოში ინფორმაციის გამოქვეყნების სქემები ინფორმაციის კომისიონერის მიერ უნდა იქნას განხილული და დამტკიცებული, რათა მოხდეს მათი გამოყენება.

▶ გერმანიის ინფორმაციის თავისუფლების აქტი (German FOIA) არ მოითხოვს გამოქვეყნების სქემებს იმ გაგებით, როგორც ეს გაერთიანებული სამეფოს ინფორმაციის თავისუფლების აქტში (UK FOIA) 2000 ხდება, მაგრამ ხელს უწყობს ყველა სახელისუფლებლო დეპარტამენტს გადაამოწმონ ყველა ფაილი, დოკუმენტი და რეესტრები, და გამოაქვეყნონ ისინი, თუკი პირადი მონაცემების დაცვის რეგულაციებთან არ მოდიან წინააღმდეგობაში. გერმანიის ინფორმაციის თავისუფლების აქტი მოითხოვს რომ დეპარტამენტებმა დაამატონ ინფორმაცია, თუ რატომ იქნა ესა თუ ის ფაილი თუ ფაილების კრებული შეგროვებული. პროაქტიული და ამომწურავი ინფორმაციის გავრცელების სისტემის დანერგვა, ხშირად საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს საჯარო ადმინისტრაციებში, რომელთა საქმიანობა კონფიდენციალურია ან/და წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, არა იმდენად აქტიური სამუშაო პროცესის თვალსაზრისით (როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა ხელისუფლება ეძებს ინფორმაციის დახარისხებისა და ფაილებად დალაგების ეფექტურ სისტემას, თუნდაც ეს მონაცემები მომავალში არ გასაჯაროვდეს), არამედ უფრო საჯარო მოსამსახურეების გახსნილობისა და ღიაობის მიმართ დამოკიდებულების პოზიციიდან გამომდინარე.

არ შეიძლება იმის უარყოფაც რომ გამჭვირვალობის ახალი სტანდარტების დამკვიდრება გამოწვეულია იმ ეჭვებით, რომ ხელისუფლების გაუმჭვირვალობა ხელს უწყობს ძალაუფლების გადამეტებას და კორუფციას. მართლაც აღნიშნული მიდგომა გამართლებულია - გამჭვირვალობა ხელს უშლის ძალაუფლების გადამეტებას. თუმცადა, თანამდებობის პირების დიდი უმრავლესობა სულაც არ არიან ამაში შემჩნეულნი და ისინი არამარტო სამუშაო გარემოს შესამჩნევი გაუმჯობესებით, არამედ მათი ნაკლებ ეთიკური კოლეგების ქცევაზე ძლიერი შეზღუდვების დაწესებითაც მოიგებენ. რადგანაც

ყველა ინსტიტუციაში, საჯაროსა თუ კერძოში ხდება ცვლილებები, საჭიროა რომ თანამშრომლები ჩააყენონ საქმის კურსში, აუხსნან და გააცნონ არსებული სიტუაცია, ახალი რეჟიმის თანმდევი მოვლენები, ასევე ცვლილების გამომწვევი მიზეზები და ესაუბრონ ყველა იმ პროცედურაზე, რომელიც სამომავლოდ განხორციელდება.

- ▶ დანერგვის პროცესის მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნას უკვე არსებული საერთაშორისო გამოცდილება, მაგალითები და მითითებები, მოდელები, სატრენინგო მასალები და გამოქვეყნების სქემები, როგორც საორიენტაციო ნიმუშები, ასევე განვითარდეს სპეციალიზირებული ინფორმაციის მართვისა და გამოქვეყნების პროცესი, დაფუძნებული საჯარო უწყებების მოთხოვნებზე. ის ასევე პოტენციური „მყიდველების“ მოთხოვნებზეც უნდა იყოს დამყარებული. ეს მყიდველები, მოქალაქეები და ორგანიზაციები, რომელთაც სჭირდებათ, ან სურთ მიიღონ და გამოიყენონ ინფორმაცია, ფოკუსირებულნი იქნებიან კონკრეტულ საკითხებზე: ტიპურია, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი ინფრასტრუქტურული განვითარების ან გარემოს დაცვის საკითხების შესახებაა (სადაც ადამიანები პირადად განიცდიან ზეგავლენას, მაგ. საკითხები მათი საცხოვრებელი გარემოს შესახებ). ზედაპირული და სიღრმისეული დისკუსიების დროს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელ ჯგუფებთან, მთავრობას შეუძლია შეამსუბუქოს როგორც ამ ჯგუფების სამუშაო ასევე საკუთარი ტვირთიც: თუკი გამოქვეყნებული ინფორმაცია დალაგებული იქნება შესაბამისი თემატიკის მიხედვით, ეს შეამცირებს ინდივიდუალური მოთხოვნების რაოდენობას, და შესაბამისად საჭიროებას შეგროვდეს ინფორმაცია ამ მოთხოვნების შესაბამისად.
- ▶ ამ კუთხით, სამოქალაქო სექტორის ინტერესი და აქტიურობა საჯარო უწყებებს ეხმარება პროცესების რაციონალიზება მოახდინონ და გახდნენ გაცილებით ეფექტურები ხელმისაწვდომი ინფორმაციის მართვის დროს: დიალოგი ინფორმაციის პოტენციურ მიმღებებთან - არა სახელისუფლებო სექტორთან, ეხმარება მთავრობებს საკუთარი საქმისა და სტრუქტურის უკეთ აღქმაში. ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ჯერ კიდევ არსებული არა ეფექტურობისა და ხარვეზების აღმოჩენისთვის, რომლებიც ინფორმაციის მართვის ახალი პროცესების (და ტექნოლოგიების) დანერგვამდე შეიძლება აღმოიფხვრან. ამ გზით, პროაქტიული ინფორმაციის გავრცელება ხდება მნიშვნელოვანი შენატანი ხელისუფლებების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

4. გამოქვეყნების გზები

▶ არსებული ტენდენცია, რომ ვებ-გვერდები ინფორმაციის გავრცელების მთავარი იარაღი გახდეს, არ უნდა იქნას მკაცრად გაკრიტიკებული, თუმცა სიფრთხილით კი უნდა მოეკიდონ. განსაკუთრებით განვითარებად და გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, რომლებიც ამჟამად მთავრობის მოდერნიზაციის პროგრამებზე მუშაობენ (მთავრობის უფრო ხელმისაწვდომი და გამჭვირვალედ ჩამოყალიბების ჩათვლით), მოსახლეობის დიდ ნაწილს ხელი არ მიუწვდება ონლაინ მედიაზე, ან ჯერ კიდევ არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარები, რომ სრულფასოვნად გამოიყენონ ის. სწორედ ამიტომ, გაუმჯობესებული სახელისუფლებლო გამჭვირვალობის გეგმის განხორციელება მრავალ არხიანი დისტრიბუციის სტრატეგიაზე უნდა ორიენტირდეს, რათა მიაღწიოს მოსახლეობის მაქსიმალურად დიდ რაოდენობამდე. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი არხები:

- ▶ ოფიციალური ვებ-გვერდები
- ▶ საინფორმაციო ბიულეტენები
- ▶ პრესკონფერენციები
- ▶ საჯარო შეხვედრები თვითმართველობაში
- ▶ მასმედია
- ▶ გაზეთები
- ▶ საჯარო არქივები
- ▶ საჯარო ბიბლიოთეკები

ელექტრონული მმართველობის ხელმისაწვდომობის ზრდისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი დამატებითი საშუალებები, როგორცაა საინფორმაციო ბანერები და ონლაინ სააგენტოები. მომსახურების ცხელი ხაზები, საჯარო სამკითხველო ოთახები (ელექტრონული სამკითხველო ოთახების ჩათვლით). უფრო შორეულ რაიონებში, გაცილებით მეტი კრეატიულობაა საჭირო კომუნიკაციისა და ინფორმაციის არხების განვითარებისთვის, რათა მოხდეს ინფორმაციის გავრცელება, მოსახლეობისგან შეფასებების მოსმენა, ან მათთვის ცალკეული მომსახურების მიწოდება. მობილური სახელისუფლებლო პროგრამები მობილური ტელეფონებისთვის, გაცილებით შეესაბამება რეგიონების სპეციფიკას, რადგან იქ მობილური დაფარვის ზონა აღემატება ფიქსირებულ ონლაინ ხელმისაწვდომობას. მაგალითად, მალტის myAlerts, მოქალაქეებს, ერთი სარკმლის პრინციპზე დაყრდნობით, ელექტრონული მიწერილობისა და მესიჯის საშუალებით, ატყობინებს

ყველა სახელისუფლებლო ცნობებისა და სერვისების შესახებ. ეს სერვისი გამუდმებით ივსება ახალი ინფორმაციით, რათა მოსახლეობას ახალი ცნობები მიაწოდოს. მალტის მაგალითი ტიპურია რადგანაც, მობილურის მოხმარების დონე 110% აღწევდა 2010 წელს, როცა ეს სისტემა წარადგინეს, მაშინ როცა ინტერნეტის მოხმარების დონე მხოლოდ 63% იყო. ზოგიერთმა რეგიონმა „მოგზაური მთავრობის“ ექსპერიმენტი ჩაატარა, საჯარო პირები ხშირად სტუმრობენ შორეულ რეგიონებს, სატელიტური ტექნიკით აღჭურვილნი, და ვიზიტების დროს სთავაზობენ ინფორმაციასა და ინტერაქტიულ მომსახურებას.

ინფორმაციის გაცემის ბუნებრივი საშუალება შეიძლება იყოს არქივებისა და ბიბლიოთეკების სისტემა - დაწესებულებები, შექმნილი რათა მოახდინონ ინფორმაციის მართვა და გავრცელება, და ხშირად, მათი დეცენტრალიზებული სტრუქტურა საშუალებას აძლევს მივიდნენ მოქალაქეთა ძნელად მიღწევად ჯგუფებამდე. ამ დაწესებულებების პროაქტიული ინფორმაციის გავრცელების სტრატეგიის ინტეგრალურ ნაწილად გახდომა, მოითხოვს დაგეგმვას და ინფორმაციის გაცემის საუკეთესო ფორმისა და სიხშირის განსაზღვრას, თუმცა ქმნის მნიშვნელოვან მიღწევებს ურთიერთგაცვლის თვალსაზრისით.

სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც შეუძლიათ მსგავსი როლის თამაში: ისინი კომპეტენტურნი არიან საკუთარ სამუშაო სფეროში, შეუძლიათ შეაფასონ და განსაჯონ პირველადი მონაცემებისა და ინფორმაციის უსაზღვრო ნაკადი, რომელიც ხშირად ინდივიდებისთვის საჭიროზე მეტია. შეუძლიათ ითამაშონ მედიატორის როლი უდიდესი მოცულობის სამთავრობო ინფორმაციას და მოქალაქეთა სპეციფიურ ინტერესებსა და მოთხოვნებს შორის. ოფიციალური ინფორმაციის გამოყენებით, მათ შეუძლიათ შექმნან კვლევები და სტატიები და ამით ხელი შეუწყონ ხელისუფლების ქმედებების უკეთ გაგებას - და ასევე სარწმუნო გახადონ, რომ სამოქალაქო საზოგადოების ქმედებები დაფუძნებულია უკეთეს ცოდნასა და ღრმა არგუმენტებზე.

სამოქალაქო სექტორის ზოგიერთი ორგანიზაცია მათ განიხილავს, როგორც წყაროს: შეიქმნა რიგი ვებ-გვერდები (ზოგჯერ ხელისუფლების მხარდაჭერითაც) რათა გამოაჩინოს ინფორმაციის დინება ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის, გამოაჩინოს მოთხოვნები და მათზე პასუხები (ინფორმაცია, ან უარის თქმა, მიზეზების მითითებით). ყველაზე პოპულარული მაგალითი არის Alaveteli system, რომელიც შეესაბამება ინფორმაციის საჭიროებას გაერთიანებულ სამეფოში (www.whatdotheyknow.com) ან გერმანიაში (www.fragdenstaat.de), მსგავსი საიტები მოიძებნება სხვა ქვეყნებშიც. როგორც ღია პლატფორმა, ის საჭიროებს რამდენიმე

ცვლილებას, და მარტივად მოერგება ნებისმიერი მთავრობის სპეციფიურ სტრუქტურასა და ენას, და ამის გაკეთება შეუძლიათ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ასევე თვითონ სამთავრობო სტრუქტურებს. თუმცა, მთავრობების მხრიდან ტიპურია ორჭოფობა „გამოაცხადოს“ ინფორმაციის მოთხოვნისა და გავრცელების პროცედურების შესახებ სამოქალაქო სექტორის პლატფორმაზე, ეს სისტემა მაინც შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის გავრცელების რამდენიმე ძირეული პრინციპის კარგ მაგალითად: გამოსაყენებლად მოსახერხებელია, შეიცავს დიდი რაოდენობით დოკუმენტებს (მოთხოვნებსა და პასუხებს), აჩვენებს წინა და პოპულარულ მოთხოვნებს, რითაც განმეორებას იცილებს თავიდან, და კიდევ მრავალი სხვა. გარდა იმისა რომ სასარგებლო ინსტრუმენტია, ასეთი პლატფორმები მაღალ საგანმანათლებლო ფუნქციასაც ატარებენ, შთააგონებენ რა, სამოქალაქო საზოგადოებას გაიგონ მეტი მოთხოვნებისა და ხელისუფლების ინფორმაციის შესახებ, შეიტყონ მოთხოვნებში გაჟღერებული თემების შესახებ, და პრაქტიკაში გამოსცადონ მიწოდებული მონაცემების უფრო ფართო პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტში განხილვა.

5. გამოწვევები

მსოფლიოს დაახლოებით 100-მა ქვეყანამ უკვე დაამკვიდრა საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარკვეული ფორმები ეროვნულ დონეზე. ყველა განსხვავებულია, და არც ერთი არ არის სრულყოფილი, გამჭვირვალობისა და ანგარიშგების პრინციპების გათვალისწინებით. უკეთესი იქნება ინფორმაციის თავისუფლების არსებული სისტემა შედარდეს მთავრობის მოდერნიზაციის მრავალწლიანი ძიების პროცესთან სამომავლოდ გაუმჯობესებული გადაჭრის გზებისა და პროცესების განვითარების მიზნით.

ის ჯერ კიდევ პროექტია, და დაგეგმვას საჭიროებს. განსაკუთრებით პირველი ნაბიჯია ძნელი: შეფასდეს, თუ რა ინფორმაცია არსებობს საჯარო სექტორში, რომელი შეიძლება გახდეს ადვილად ხელმისაწვდომი, რომელი საჭიროებს დამუშავებას ან რედაქტირებას, ვის აქვს უფლება პასუხი გასცეს მოთხოვნებს ინფორმაციაზე, რა შეიძლება მოხდეს მაშინ როცა წარმოიშვება კონფლიქტი განმცხადებელსა და საჯარო დაწესებულებას შორის და ა.შ. ეს არის პროცესი, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ხელსაყრელია ეფექტიანი მმართველობის. ახალი მთავრობები ხშირად უწყობენ ამას ხელს იმით, რომ იღებენ საგარეო ვალდებულებებს მაგალითად, როგორც არის "ღია მმართველობის პარტნიორობა".

ყველაზე არსებითი ნაწილი შეიძლება იყოს ცალსახა პასუხი კითხვაზე „რატომ გამჭვირვალობა?“ თუკი არსებობს მხოლოდ ბუნდოვანი პასუხი ამაზე, ან პასუხი რომელიც არარელევანტურია ადმინისტრატორებისთვის, რომლებიც ყოველდღიურად ქმნიან და ამუშავებენ ინფორმაციას, მაშინ არსებობს დიდი ალბათობა იმისა რომ პროექტი დაკარგავს თავის დინამიკას. არ არის საჭირო შეიქმნას ილუზია, რომ საჯარო სექტორის თანამშრომელთა უმრავლესობას დაუძლეველი სურვილი აქვს იყვნენ უფრო გამჭვირვალენი. მათი სამუშაოს აღწერა განსხვავებულია, მათ უნდა განავითარონ სამუშაო პოლიტიკა, გაუმკლავდნენ საგადასახადო დეკლარაციებს, დაამუშაონ ბიზნეს აპლიკაციები ან დაგეგმონ გზების შეკეთება. გამჭვირვალობაზე ადამიანები ყოველდღიურად არ ფიქრობენ. ეს ხდება ორივე გზით: შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საჯარო სექტორის თანამშრომელი აგნოსტიკოსია გამჭვირვალობის შესახებ, ბედნიერია თუკი ასრულებს ადვილად მოსაგვარებელ საქმეებს, საპირისპიროდ იმ პროცედურებისა, რომლებმაც შეიძლება ყურადღება გადაატანინონ „ყოველდღიური საქმიდან“.

ამიტომაც, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საჯარო სექტორის იმგვარი მოდერნიზება მოხდეს, რომ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს (სანამ არ იქნება კარგი მიზეზი, რომ ინფორმაცია არ განსაჯაროვდეს) და ეს არ მოითხოვს ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდ ძალისხმევას. ამიტომ, ინტელექტუალური ინფორმაციის მართვის დიზაინი ძალიან მნიშვნელოვანია, ის გამორიცხავს გამჭვირვალობაზე ფიქრის აუცილებლობას, ათავისუფლებს მათგან, ვისაც სხვა რამე აქვს გონებაში, და მიმართავს მას საჯარო სექტორის სტრატეგიულ ცენტრში. ეს (შეიძლება უცნაურიცაა) აქცევს საჯარო სექტორის გახსნილობას ზევიდან-ქვევით მიმართულ ამოცანად, რათა მოგვარებულ იქნას რაც შეიძლება მაღალი დონის პირების მიერ. პრაქტიკული გამჭვირვალობა ადვილი მისაღწევია თუკი ყველას ეხება, როცა ის არის საჯარო სექტორის სააგენტოების ურთიერთობის მნიშვნელოვანი პრინციპი. ამის მისაღწევად, ბევრი დისკუსიებია საჭირო, ბევრი მიმართულებები, ნიმუშები უნდა განვითარდეს და შემუშავდეს, და უნდა მოგვარდეს ის წინააღმდეგობები, რომლებიც შეუქცევადია ადრეულ ეტაპზე, ფუნდამენტურად საიდუმლო სისტემის ასევე ფუნდამენტურად გამჭვირვალე სისტემად გადაქცევისას. საბედნიეროდ მსოფლიოში ბევრი კარგი მაგალითი არსებობს, იმისა თუ როგორ შეიძლება მისი პრაქტიკაში განხორციელება, დაწყებული მე-18 საუკუნის შვედეთის „ინფორმაციის თავისუფლების კანონით“, დამთავრებული ინფორმაციის თავისუფლების აქტებისა და მათი იმპლემენტაციის სტრატეგიების უახლესი ტალღით, განვითარებად და ახალ-დემოკრატიულ ეკონომიკებში.

სამართლებრივი ფორმულირებების, ინსტიტუციონალური დიზაინისა და გავრცელების სქემების ანალიზის შემდეგაც კი ერთი სიმართლე უნდა ითქვას ქვეყნების გამჭვირვალობის პოლიტიკის შესახებ: თუკი არსებობს ჭეშმარიტი რწმენა, რომ ღიაობა და მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის გამჭვირვალობის პრინციპზე დაფუძნებული ურთიერთობები საზოგადოებას მოგებას მოუტანს, მაშინ ეს პოლიტიკა იმუშავებს. მაგრამ თუ ეს რწმენა ყალბია, და გამჭვირვალობის პოლიტიკა იქმნება მხოლოდ იმიტომ რომ არსებობს შინაგანი თუ გარეგანი ზეწოლები, მაშინ ის ვერ გამოიღებს შედეგს.